№ 5 ხუთშაბათი, 8 იანვარი 1909 წ. № 5

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი «დროების» ხურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 10 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: წვრილფურცელზე სტრიქონი პირველ გვერდზე მეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ სადამდე 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ [illegible] და მცირე წერილებს და კორესპ[illegible] ხავს. ინახება ერთის თვით [illegible] მოთხრობებში. პირადად [illegible] დღე, კვირა-უქმ. ების გარდა [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ზოლოდ სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

თავადი შიამანდავლე ასლანის ძე მეუღლითა და შვილებითურთ, კნეინა ცავძინა გელოვანისა და ანეტა წერეთლისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავიანთ მამის

თავ. ასლან გიორგის ძის რაჭის-ერისთავისას.

დაკრძალვის დღე დანიშნულია 9 იანვარს, პარასკევს, დილის 10 საათისთვის, რისთვისაც სთხოვენ მობძანდნენ ს. ზესში ბარიაკონის საგვარეულო ეკლესიაზედ. (2—კვ.—1)

ეფემია ასლანის ასული, შვილნი ამისი იოსებ და თამარ. ესტატე, ნინო, ივანე და რიმსიმე ბერძნიშვილები, ეკატერინე მირზაშვილისა და სერგო წერეთელი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ნახიჩევანის ციხის უფროსის

იასონ ესტატეს ძის ბერძნიშვილის

ტრაგიკულ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. შინდისში (გორის მაზრა) ხუთშაბათს 8 იანვარს. (1—8—1)

წარმოდგენა № 9. ქართული თეატრი წარმოდგენა № 9.

შაბათს, 10 იანვარს 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: ცნობილი პიესა ა. სუმბათაშვილისა.

ღალატი

დრამა 5 მოქმედ. თარ. გრ. ყიფშიძის მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი: ლოჟები 12 მ.-დან 3 მ.-მდე, პარტერი 3 მ. 50 კ.-დან 1 მ. გალერეია 60 კ.-დან 20 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „მეგობრობა“, „რევიზორი“, „სალხინო“, „ჩერჩეტი“.

უფროსი რეჟისორი ა. ი. ყანჩელი. რეჟისორი გ. შალიკაშვილი.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

## წ ე ს ი

### უგანთ. თავადის გრიგოლ დადიანის პრემიის მიცემისა

§ 1.

უგანათლებულესის თავადის გრიგოლ დადიანის პრემია—400 მანეთი მიეცემა მას, ვინც შეადგენს და წარმოადგენს საკონკურსოდ საუკეთესო თხზულებას: 1) საქართველოს წარსულის ცხოვრების შესახებ, 2) ქართულის ენის შესახებ და 3) ქართულის ძველის ან ახალის მწერლობის შესახებ.

§ 2.

თხზულებას საქართველოს წარსულის ცხოვრების შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელის წარსულის ცხოვრებისა ანუ რომლისამე მის ეპოქისა, 2) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომლისამე ეპოქისა, 3) საეკკლესიო და საზოგადო სარწმუნოების ისტორია როგორც სრული, ისე რომლისამე ეპოქისა, 4) სამხედრო ისტორია, 5) იურისპრუდენცია, 6) მითოლოგია.

§ 3.

თხზულებას ქართულის ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1) ისტორიული გრამატიკა ქართულის ენისა—ეტიმოლოგია ან სინტაქსი, 2) შედარებითი გამოკვლევა ქართულის ენის თქმებისა, 3) გამოკვლევა ქართულის ენისა შედარებით უცხო ენებთან, 4) ქართულის ენის თქმების შედარებითი ლექსიკონი, 5) ქართულის ენის განმარტებითი ლექსიკონი, 6) უცხო ენებთან თანამოსახელე ქართულის სიტყვების ლექსიკონი. 7) უცხო ენათაგან შეთვისებულის სიტყვების ლექსიკონი.

§ 4.

თხზულებას ქართულის მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1) ქართულის მწერლობის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, 2) ერთ-ერთის მწერლობის დარგის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, 3) ერთ-ერთისა ან რამდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ-მხრივი შესწავლა, 4) დამოკიდებულება ქართულის მწერლობისა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომლისამე კერძო ეპოქისა, 5) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

§ 5.

საკონკურსო თხზულება უნდა იყოს დაწერილი ქართულად.

§ 6.

საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარდგენილი წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობაში 1911 წლის 1 იანვრამდე.

§ 7.

საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელ-ნაწერიც და დაბეჭდილიც. მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1907 წელზედ ადრე გამოცემული. (2—უ.—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი

ხუთშაბათს, 8 იანვარს, წარმოდგენილი იქნება

„ზ ა ზ ა“

მონაწილენი: ქ-ნნი დრუზიაკინა, არდი, კალინინა მეორე, ფერრარი; ბ-ნნი დანილევსკი, კარჟევინი, როზანოვი, როსსოლიმო, სმირნოვი, ტომსკი, სიმონოვი, ლუტჩევი, კარელინი და სხვ.

დირიჟორი ან. ეიხენვალდი. რეჟისორი ც. ურბანი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: ხვალ „ციგანის ბარონი“; 10 იანვარს მეორე გასტროლი ლონდონის სამეფო თეატრის პრიმადონის ქ-ნ ვანდ-ბრანდტისა, წარმოდ. იქნება „ტრავიატა“.



ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

ხუთშაბათს, 8 იანვარს, დიდი სპორტი-წარმოდგენა სამ-მოქმედებად. მონაწ. იღებენ ოჯ. ბრუნო, ტრიო დეხერტსი, ცხენოსანი ქალები ესაულოვა, სტროვაი, შულკევიჩი და სხვანი. სხვათა შორის მესამე განყოფილებაში ესე 10 საათზე საერთა-შორისო ჩემპიონი ფრანგულ ჭიდაობისა 8000 ფრანკ პრიზზე. იჭიდავებენ: 1. პოსიპშილი და გოლდი; 2. ლობრენიძე და შომაშევსკი; 3. შულცი და ლურიხი. დაწვრილებით პროგრამებში.

(0—1) დირექტორი ცირკისა აკიმ ალ. ნიკიტინი.

◀ საერო განათლების სამინისტროს ხელ-ქვეით მყოფი ▶

კერძო სასწავლებელი

მეხუთე ქალთა გიმნაზიის ყ. ფილ უფროსის

ლიუდმილა თეოდორეს ასულის პეტრაშევსკისა

მიხეილის პროსპექტი, № 166.

დაიწყო მიღება ქალებისა და ვაჟებისა მოსამზადებელ 1, 2 და 3 კლასებში. დაწვრილებითი ცნობები სკოლის სადგომში ყოველ-დღე 10—2 საათამდე. საბავშვო ბაღი და პანსიონი. (10—ნასყ.—1)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გირონჩი, N 9. (უ)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—30)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—40)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—66)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—66)

ექიმი მ. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი თვალისა ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.; ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—668—20)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბროსეს ქუჩა, N 11. (25—656—23)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე,

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იყყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით —12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

8 დეკემბერს გაიხსნა ახალი

ტფ. კერძო სამკურნალო (ამბულატორია)

ღიაა ყოველ-დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაკს ქ., 8; ს. ენფიანჯიანცისა; ტელეფონი 695.

ექ. ე. ბ. ფედოროვი: ყოვ. დღე გარდა ოთხშ. და კვირისა 8 ნახ.—9 ნახ. საათამდე შინაგანი.

ექ. ვ. დ. ლამბაშიძე: ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ.; 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: სამშ. და პარ.; 12—1 ს.; შინაგან ავადმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოვ დღე; 11 ნახ—12 ნახ. ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავადმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოვ. დღე; 1—2 ს.; დედათა და ხირურგ. ავად.

ექ. ი. ზ. გომართელი: ყოვ. დღე; 2—3 ს.; შინაგ. და ბავშვ ავადმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—2 ნახ. ს., თვალის ავადმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

ამ ძოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. (25—657—21)

გაწვრთნილი რეპეტიტორი-სტუდენტი

უნივერსიტეტისა ხელმისაწვდენ ფასად ამზადებს და ასწავლის ბავშვებს ყველა სასწავლებლებისათვის.

იკითხეთ რედაქცია „დროებაში“.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა

ასოციაციის ბიურო

იწვევს ასოციაციის წევრთა საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია ამა იანვრის 25 რიცხვს, დილის 10 საათზე, დაბა ჭიათურის ადგილობრივ თეატრის დარბაზში.

განსახილველია საგნები:

1. შავი ქვის გაყიდვის შესახებ;

2. შავ ქვაზე ადგილობრივ ფასების დადგენის შესახებ;

3. ასოციაციის წესდების ზოგიერთ პარაგრაფის შეცვლისა და დამატების შესახებ და

4. შავი ქვის მრეწველთა ამხანაგობის წესდების განხილვა. (1—6.—1)

## ტფილისი, 8 იანვარი.

ქ. შ. წ.-კ. გ. ს. საგანგებო კრებაზე, კვირას, 4 იანვარს, ცოტა არ იყოს—უცნაური ამბავი მოხდა. უცნაურობა იმაში არ გამოიხატება, რომ ამ დღეს გამგეობა დამარცხდა და საქმეთა წარმოების ინსტრუქციის თავისი პროექტი უკან წაიღო შესასწორებლად და შესაკეთებლად: შეცდომა ყოველთვის შესაძლებელია და დამარცხება მაინც და მაინც დიდი დანაშაული არაა, მით უმეტეს, როცა საქმის გამოკეთება და გასწორება შეიძლება; მაგრამ ის-კი უცნაურია, როცა უბრძოლველად, თავდაუცველად ბრძოლის ველს სტოვებს პირველ შემოძახებისთანავე მოწინააღმდეგეს მხრით. მთელი კამათი ინსტრუქციის გამო რაღაც უცნაური გაუგებრობა იყო, მაგრამ ამისი ბრალი სავსებით გამგეობას ედება და არა საზოგადო კრებას, არა იმ დღეინდელ ოპპოზიციას...

განვიხილოთ, როგორ იყო საქმე. დიდი დაკვირვება არაა საჭირო, რომ გაითვალისწინო, რა ხასიათისაა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ინსტრუქცია და რა საგანი დაუსახავთ მის ავტორებს. ინსტრუქციას ცხადათ ატყვია, რომ იგი ბრძოლის შედეგია და, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, კომპრომისია ორ აზრის, ორის მიმართულებისა. ინსტრუქციის ავტორთ საგნად ჰქონიათ, გამგეობის სრული რეორგანიზაცია დეცენტრალიზაციის პრინციპის მიხედვით, ხოლო გამგეობის მეორე ნაწილი ამის სრული წინააღმდეგი ყოფილა. ბოლოს შეთანხმებულან ინსტრუქციაზე, რომელშიაც დეცენტრალიზაციის პრინციპი არის გატარებული, მაგრამ ერთობ სუსტად და მკრთალად. ეს რომ ასეა, ცხადათ ამტკიცებს პროექტის ზოგი მუხლი. აიღეთ თუნდ გამგეობის საზოგადო კრების მოვალეობა, აღნიშნული მუხლში გ: „განხილვა და დამტკიცება სექციის მოსაზრებისა, როცა უკანასკნელი აღემატება მის, ინსტრუქციით მინიჭებულს უფლებას“; აიღეთ ადმინისტრატიულ სექციის მოვალეობა, აღნიშნული მუხლში ე: „სექცია განაგებს ყოველმხრივ წიგნის მაღაზიას და უძრავ ქონებას“; ან კიდევ სასკოლო სექციის მოვალეობა, აღნიშნული მუხლებში ა (სკოლების გახსნა), ე (დანიშვნა მასწავლებლებისა) და სხვა. ეს მუხლები, თავისთავად და ინსტრუქციის მთელი ხასიათი მოწმობენ, რომ გამგეობას ჰსურდა თავისუფლება მიენიჭებია სექციებისათვის, ავტონომიური სექციები შეექმნა, თუმცა ამ თავისუფლების ფარგალი, ამ ავტონომიის საზღვრები ვიწროა და მცირე.

საზოგადო კრებამ სწორედ ასე გაიგო საკითხი და პირდაპირ პრინციპიალური კამათი დაიწყო უფლებათა განაწილების შესახებ—გამოსადეგია თუ არა ასეთი დეცენტრალიზაცია გამგეობისათ. მაგრამ გამგეობამ, რაღაც მიზეზით, ბრძოლა ამ ნიადაგზე არ მიიღო და იმ წამსვე უკან დაიწია. სიტყვა „დეცენტრალიზაცია“, საზოგადო კრების ერთ-ერთ ორატორის მიერ წარმოთქმული, ყუმბარასავით დაეცა გამგეობის მაგიდაზე და წამსვე დააფრთხო მისი წევრები. ჩვენ დეცენტრალიზაცია არ გვინდოდა, უფლებას არ ვანაწილებთ, ყოველივე უცვლელად რჩება და სექციები მხოლოდ იმისთვის გვინდა, რომ მასალა მოამზადონ, საქმეები შეისწავლონ და წარმოგვიდგინონ გამგეობასაო. საკითხი საოცრად გაამარტივეს. მართლაც, თუ საქმე შრომის უბრალო განაწილებაში იყო, თუ სექციების არსებობა იმიტომ იყო განზრახული, რომ ამა თუ იმ საქმის მასალის შეგროვება და თავის მოსაზრების წარდგენა ევალებოდა, რაღა საჭირო იყო ინსტრუქციის შედგენა ან წარმოდგენა საზოგადო კრებისთვის? ყოველ კოლეგიალურ დაწესებულებაში არსებობს ასეთი განაწილება შრომისა და წ.-კ. საზოგადოების გამგეობაშიაც წინადაც ასე იყო ყოველთვის, რომ ამა თუ იმ საქმეების დამზადება-გაცნობას რამდენსამე ან ერთ წევრს მიანდობდნენ. ნამდვილად, საქმე ასე არ ყოფილა და თვით ინსტრუქციის პროექტი გვიმტკიცებს, რომ მის ავტორთ უფრო ფართო საგანი ჰქონიათ დასახული, ვიდრე შრომის უბრალო განაწილება, ეგრედ წოდებულ „შავ მუშაობის“ გაყოფა. გამგეობა დაიბნა, პრინციპიალურ ნიადაგზე ბრძოლა არ მიიღო და, რასაკვირველია, ბოლოს დამარცხდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ინსტრუქციის მთავარი მუხლები, რომლებშიაც გატარებული იყო რეორგანიზაციის, განზრახულ რეფორმის აზრი, გამგეობამ შეცდომად აღიარა: რედაქციის მხრით არის შიგ შეცდომები—და სრულიად იმის თქმა არ გვინდოდა, რაც ახლაა გამოთქმულიო...

არ გვესმის, რათ მოხდა ეს და რათ აიჩქარა გამგეობამ პროექტის გადაფუჩხება და უდროო დროს მისი მოხსნა? ჩვენის აზრით, ცოტად თუ ბევრად ავტონომიურ სექციების არსებობა არა-თუ მავნებელი არ იქნება საქმისათვის, პირიქით, ნაყოფიერიც და მიზნის შესაფერიც. ერთად ერთი მოსაზრება, რომელიც ოპოზიციამ წამოაყენა, ის იყო, რომ გამგეობა პასუხისმგებლობას იშორებს და სექციებს ახვევს კისერზეო. მაგრამ, ეს მოსაზრება ყალბია: გამგეობა რჩება მთავარ ორგანოდ, რომელიც ხელმძღვანელობს და ამტკიცებს სექციების ნამოქმედარს, გამგეობის სახელით წარედგინება საზოგადო კრებას წლიური ანგარიშები და მაშასადამე პასუხისმგებლობაც მის კისერზე რჩება. სექციების ავტონომიურ მოქმედებას, ზოგიერთ საქმეებში მაინც, უეჭველად მოითხოვს ჩვენის წ.-კ. საზოგადოების აწინდელი გართულებული მოღვაწეობა. მთელი გამგეობა ვერ აუდის ყველა საქმეებს, რომელთაგან ბევრი წვრილმანიც არის, და თუ სექციებს თავისუფლება მიენიჭებათ, ყოველ საქმეს უკეთაც შეისწავლიან, გაითვალისწინებენ და მიზნის შესაფერისად გადასწყვეტენ. ოპოზიციის ორატორებმა ყველაზედ უფრო გაიკვირვეს ის გარემოება, რომ მასწავლებლის დანიშვნა სასკოლო სექციის მოვალეობად არის აღიარებული პროექტში. მათი გაკვირვება ამ მუხლით იმდენად რიხიანი იყო, რომ გამგეობაც განცვიფრებას მიეცა: ასეთი შეცდომა როგორ მოგვივიდაო! მაგრამ არსებითად არავინ არ განგვიმარტა და არ დაგვანახა, რა დაშავდება იმით, თუ სასკოლო სექცია, შემდგარი უმთავრესად პედაგოგთაგან, მასწავლებელს აირჩევს და დანიშნავს კიდეც...

საზოგადოთ კრებაზე ბევრი ილაპარაკეს შრომის განაწილების ნაყოფიერებაზე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს პრინციპი ისე გაამარტივეს, რომ გამოვიდა ქაღალდების განაწილება წევრთა შორის, მათი წაკითხვა და გამგეობისთვის მოსაზრების წარმოდგენა. რასაკვირველია, ამაზე ლაპარაკი არ ღირდა და ეს არაა შრომის ნაყოფიერი განაწილება. ამიტომ, ჩვენის აზრით, საზოგადო კრებას მსჯელობა უნდა ჰქონოდა პრინციპიალურ საკითხზე: სასურველი და მიზნის შესაფერისია თუ არა ცოტად თუ ბევრად ავტონომიურ სექციების შექმნა, რაც უეჭველად საგნად ჰქონიათ ინსტრუქციის პროექტის ავტორთ და შემდეგ შესდგომოდნენ პროექტის მუხლ-მუხლად განხილვას, რათა ან გაეფართოებინათ სექციების სამოქმედო ფარგალი ან შეეზღუდათ იგი. თავიდან ასეთი მიმდინარეობა მიიღო კამათმა, მაგრამ მოხდა ის უცნაურობა, რომელზედაც მოგახსენეთ. გამგეობამ არ მოისურვა თავისავე პროექტის პრინციპიალური დაცვა, თავისივე კანონიერი შვილი უკანონოდ აღიარა და სისწრაფით უკუ იქცა...

ჩვენ სამწუხაროდ მიგვაჩნია ამ საქმის ასეთი დაბოლოვება, რადგან გამგეობის მიერ განზრახულს რეფორმას სასარგებლოდ და საჭიროდ ვსცნობთ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გამოვიდა ახალი ყოველკვირეული ქართული გაზეთი „ივერია“. ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით ვეგებებით ქართულ პრესსის განვითარების ყოველგვარ ნიშანს, სიამოვნებით ვეგებებით აგრეთვე გაზეთს „ივერიას“. რაც უნდა დიდი უფსკრული იყოს გათხრილი ჩვენის და სხვა ქართულ ორგანოების შუა, მაინც ვფიქრობთ, რომ გულში დაფარულს და უმოქმედოდ გაყინულს მიმართულებას ისევ გამჟღავნებული სიტყვა და აზრი სჯობია. ქართველ ინტელიგენციის ერთი ჯგუფი, გაზეთ „ზაკავ. ობოზრ.“ გარშემო მოგროვილი, კაი ხანია რაღაც გაუგებარის სიამაყით ჰკიცხავდა მთელს ქართულს პრესსას და მოიწოდებდა თავის თანამოაზრეებს „სერიოზულ“ ქართულ ორგანოს გასაჩენად. ამ ინტელიგენტურ წრეში იყო ბ-ნი კ. თუმანიშვილიც, რომელიც ეხლა ახალ გაზეთის ვრცელ მეთაურით სცდილობს გააცნოს მკითხველ საზოგადოებას თავისი „უპარტიობა“ და „უპარტიო“ მიმართულება.

ახალი გაზეთი გადაჭრით აცხადებს, არც ერთ პარტიის პროგრამა არ ეთანხმება საქართველოს თანამედროვე მდგომარეობასაო. ამ ამაყი განცხადების შემდეგ ახალ გაზეთს ან დინჯი და სერიოზული კრიტიკა უნდა დაეწყო არსებულ პროგრამებისა და ან თავისი საკუთარი პროგრამა დაეპირისპირებინა მათთვის. ვრცელ მეთაური, წერილის ავტორს არც ერთი მიაჩნია საჭიროდ, არც მეორე. იმის აზრით საჭიროა, ქართველებმა საკუთარი ეროვნული მიმართულება შექმნან, —მორჩა და გათავდა. პოლიტიკურმა პარტიებმა, რომელნიც აქამომდე მოქმედებდნენ, ქვეყანა რეაქციის

ხრამში გადაჩეხეს, მაშასადამე, ისინი უარსაყოფნი არიანო, ფიქრობს „ივერია" და გულუბ ყვილოდ ჰგონია, რომ იგი პირველი იმაღლებს ხმას ეროვნულ იდეალებისთვის.

ქართველ ინტელიგენციის ერთ-ერთი საზარელი თვისება ისტორიულ კავშირის უქონლობაა. ვინც კი კალამს აიღებს ხელში, ვინც კი საქვეყნო რამ საქმეს გაუსწორებს თვალს, ყველას ასე ჰგონია, რიცა ვარ—მე ვარ, თორემ ჩემ დრომდე—ვის რა მოუმოქმედნია, ვის რა უკეთებია, ვის რა უფიქრიაო. აქედან წარმოსდგება ჩვენი ცხოვრების სიმწარეც. სწორედ გასაოცარია, რომ „ახალ მიმართულებათა" ნათლიებს ჩვენში არც წარსულის გათვალისწინება უყვართ, არც იმის აწონ-დაწონვა და არც აწმყოს დაკვირვება. ჯერ იყო და გაზეთმა „საქართველომ" გადაშალა ახალი „ნაციონალური მიმართულება", ეხლა ამ ახალ მიმართულებას გაზეთი „ივერია" პოულობს, თუმცა ვერც „საქართველო" და ვერც ახალი „ივერია" სიტყვათა რახა-რუხს ვერ გასცილებიან და თავის ნაციონალურ მიმართულებისთვის კონკრეტული და პრაქტიკული შინაარსი იმ „პოლიტიკურ პარტიის პროგრამიდან" ისესხეს, რომელსაც გასაჰყლეტად ფეხს აჭერენ. განმთავისუფლებელ მოძრაობის დროს ქართულ პრესსაში სრულიად ნათლად იყო დაყენებული ეროვნული და სოციალური საკითხი საქართველოსთვის; პოლიტიკური ფედერალიზმი და ავტონომიზმი ერთის მხრივ და დემოკრატიზმი მეორეს მხრივ—აი, სად ჰხედავდა მაშინ ხსნას ქართული პრესსა... რა თქმა უნდა, ამ აზრს მოწინააღმდეგეც ბევრი ჰყავნდა, მაგრამ იდეათა ევოლუცია დღესაც არ შეჩერებულა და ეხლაც ახალ-ახალ მიმდევრებს იძენენ ეს პრინციპები. ვინც საქართველოში ეროვნულ პრინციპს თვალს გაუსწორებს, ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ მას ყოვლის უწინარეს მოეთხოვება ზემოხსენებულ დებულებებს გაუწიოს ანგარიში... გაზეთი „ივერია" კი თითქოს თავიდან იწყობს ისტორიას და მოჰყოლია იმის ლექსას, რაც ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ კაი ხანია უკვე მოინელა. „ეროვნული თანასწორობა", „ეროვნული პროგრამის საჭიროება"—ჩვენთვის ალგებრაული ნიშნებია; ამ ნიშნებს თითოეულ შეგნებულ ქართველისთვის უკვე თავისი საკუთარი კონკრეტული შინაარსი აქვს. თუ გაზეთს „ივერიას" არა ჰსურს ჩვენი ეროვნული თვითშეგნება უკან დასწიოს, თუ პირიქით იგი გულწრფელად მოწადინებულია ეროვნულ საქმის წარმატებას ჩვენს ქვეყანაში, ნუ ინებებს და ნუ დაგვავიწყებინებს იმ ისტორიულ გზას, რომელიც დიდის წვალებით გავიარეთ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში.

„ივერიის" პირველს ნომერში მოთავსებულია აგრეთვე ბ-ნ გვაზავას წერილი (დაუსრულებელი) „ფიქრი საქართველოს მომავალზე". ავტორი თავის მსჯელობას იქიდან იწყებს, ვითომ მეცნიერულად დამტკიცებული იყოს, რომ ერი ცხოველი არსებაა—ორგანიზმიაო... ენა უძვლოა და რასაც გნებავთ ათქმევინებთ; მეცნიერება კი ისეთი არსებაა, რომ რაც უნდა მიაწეროთ მას, თავის თავად პროტესტს არ განაცხადებს. ეს კია, რომ ხშირად გაუძნელდებათ ხოლმე თავისუფალ მწერლებს, გამოარკვიონ როგორ, რათ, როდის, სად და ვასის პირით დაამტკიცა ესა თუ ის განცხადებული ჭეშმარიტება მეცნიერებამ. ჩვენ გაგვიგონია, რომ ნაირნაირ ფილოსოფიურ თვალსაზრისის მიხედვით შეიძლება ერს ორგანიზმი დაარქვა, მაგრამ მეცნიერებას რო დაემტკიცებინოს ეს—მაგაზე კი რა მოგახსენოთ! ალბათ ბ-ნი გვაზავა აგვიხსნის, რომელმა მეცნიერებამ დაამტკიცა ერის ორგანიული ბუნება და რით...

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ გაზეთს „ივერიაში" ნამდვილად ახალია არა ეროვნულ საკითხის წინ წამოყენება, როგორც თვით რედაქცია გვეუბნება, არამედ ცოტა სხვა რამ, რაც ჯერ მეტად მკრთალად სჩანს, მაგრამ მალე კი ცხადად გამოსჩნდება. ჩვენ მოგახსენებთ ეროვნულ საკითხის სიმწვავეში სოციალურ საკითხების ჩახრჩობას...

# საზიზღარი ჭორი

დასავლეთ საქართველოდან ჩვენმა რედაქციამ ორი წერილი მიიღო. ორივე წერილი შეეხება იმ საზიზღარ ჭორებს, რომელიც ვიღაც ვაჟბატონებს გავრცელებიათ ებრაელების შესახებ. ვბეჭდავთ ორივე წერილს, რათა ამ თავითვე ბოლო მოეღოს ბნელ ძალების ჭორებს.

I

გთხოვთ, თქვენ პატივცემულ გაზეთში ამ წერილს ადგილი დაუთმოთ. ქუთაისში და იმის ახლო-მახლო დაბასოფლებში ხმაა გავრცელებული, ვითომ ებრაელებს ვიღაც ქალი დაუჭერიათ და ეწამოთ (ე. ი. დაეჩხვლიტოთ), ვითომ ეს ქალი, დანაჩხვლეტ ადგილის მოსარჩენად, უნდა იწვეს ბოკერიას საავადმყოფოში. მე ხშირად მაქვს მსვლელობა ზემო აღნიშნულ საავადმყოფოში, მაგრამ ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია და არის უბრალო პროვაკაცია, იმის დაგვარი პროვაკაცია, როგორიც გაავრცელეს ქუთაისში წარსულ საუკუნის ამლევს, რამაც გამოიწვია ებრაელების დარბევა. რადგან ამ ხმებს შეუძლიანთ გამოიწვიონ კიდევ რამე სისულელე, მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს გამოვაცხადო, რომ ეს ხმები გავრცელებულია ისეთი ხალხის მიერ, რომელთაც უნდათ მეზობლად მცხოვრებნი, ქრისტიანნი და ებრაელნი, ერთმანეთს შეატაკონ და თვითონ ანღვრეულ წყლით ისარგებლონ.

ვთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ცნობა. **ლადიკო კახიანი**

II

ახალი წლის წინა დღეს ქუთაისიდან მახარაძეში მივდიოდი. სადგ. ბელოგორს და მარელისს შუა ჩემს მახლობლად საამხედ მჯდომ სოფლიდან მომავალ მოგზაურებისაგან გავიგონე შეუწყნარებელი ჭორი. რა სთქვეს მათ: ერთი თვის წინად სოფ. ფარცხნარში, ხარაგაულის მახლობლად, ვითომ უნდა ჩასულიყოს ერთი საჩხერელი ებრაელი, კარგად ჩაცმული, და გამოეცხადებინოს თავი ბერძენ ექიმად. დაუწყია სოფელში რაღაც ექიმობა, დარჩენილა რამდენსამე თვეს და ერთს ოჯახში მოსწონებია გასათხოვარი ქალი. დაუხარჯავს ფული და ისე მოუწყვია საქმე, რომ ეს ქალი შეურთავს და მეორე დღესვე თან წაუყვანია ვითომ ტფილისში, ნამდვილად კი წასულა საჩხერისკენ მთებში, სადაც შემომატებია 5—6 ებრაელი და დაუწყიათ ტყეში წვალება. ამასობაში წასწრებია მათ ორი რაზმელი, ერთი ჭაჭიაშვილი და მეორე ლაბაძე. რამდენიმე ებრაელი მოუკლავთ, დანარჩენნი გაქცეულან და ვითომ შაუტოვებიათ ქალი სხეზედ ჩამოკიდებული. რაზმელებს გაუნთავისუფლებიათ ქალი და უპატრონებიათ. ეს ამბავი ვითომ მთავრობისათვისაც უცნობებიათ".

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს ამბავი გავრცელებულია ვიღაც პროვოკატორების მიერ განგებ ქართველებისა და ებრაელების გადასაკიდებლად. საქიროა ამ გარემოებას ეხლავე მიექცეს ყურადღება. **ლადო ბზვანელი.**

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 იანვარი

**მიწის-ძვრა**

**რომი.** ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის რუზველტის დავალებით იტალიის საზღვაო სამინისტრომ შეიძინა ერთ მილიონ მანეთის მასალა სამი ათასს სახლის ასაგებად იმათთვის, ვინც სამხრეთ იტალიაში მიწის ძვრას გადარჩა.

**სპარსეთი**

**თავრიზი** (ჯულფამდე ფოსტით). თავრიზს მთავრობის ცხენოსანი ჯარი არტყია.

**ლონდონი.** რეიტერი აცხადებს: მართალი არ არის, ვითომ ინგლისის მთავრობას თანხმობა განეცხადებინოს სპარსეთის სესხზე. მთავრობამ გაიგო, რომ ზოგიერთი წინადადება სპარსეთის რეფორმების შესახებ რუსეთს შეუმუშავებია, მაგრამ ლონდონში ეს წინადადებანი ჯერ არ მიუღიათო. რეიტერის სიტყვით, ეს წინადადებანი სპარსეთის საქმეებში გარევას არ გამოიწვევს.

**ოსმალეთი**

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატას მთელი ორი დღე ჰქონდა კამათი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაისაჯონ წინანდელი მინისტრები და სხვა მოხელენი უკანონო მოქმედებისათვის. ბოლოს პალატამ დაადგინა, აარჩიოს გამომძიებელი კომისია.

**ბერლინი.** აქ დაარსდა ოსმალთა კლუბი.

**სტამბოლი.** პოლიციის მინისტრმა ქაღალდი შეიტანა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

დეპუტატთა პალატამ მიიღო შეკითხვა ბაღდადელ დეპუტატისა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ბაღდადის რკინის გზის გაყვანის საქმე. მიიღო აგრეთვე მეორე შეკითხვა: არსებობს თუ არა რუსეთთან ისეთი ხელ-შეკრულება, რომლითაც შეზღუდულია ოსმალეთის უფლება რკინის გზის გაყვანის საქმეში მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილში? ამ შეკითხვას 17 იანვარს განიხილავენ.

**ბალკანეთი**

**სტამბოლი.** ოსმალეთ-ავსტრიის შეთანხმების განაჩენს ხელს მოაწერენ მაშინ, როდესაც წინასწარ განაჩენს ვენაში მოიწონებენ. ავსტრია მოვალეა, ერთდროულად გადაიხადოს 2 ნახ. მილიონი ოსმალური გირვანქა, ხელშეუხებლად დასტოვოს სარწმუნოებრივი კავშირი ბოსნია-ჰერცოგოვინაში სტამბოლის მეიხ-ულ-ისლამით, ნება მისცეს ბოსნია-ჰერცოგოვინას მცხოვრებთ სამი წლის განმავლობაში ან წინანდელ სახელმწიფოს ქვეშევრდომად დარჩნენ ან ავსტრიის ქვეშევრდომობა მიიღონ და ნება დართოს მუსულმანების სამღვდელოებას მეჩეთებში მოიხსენიოს სულთანი, როგორც მუსულმანთა მთავარი სასულიერო პირი: ისინი, ვინც ავსტრიის ქვეშევრდომობას მიიღებენ, მოვალენი არიან ადგილობრივ კანონებს დაემორჩილდნენ, რომელნიც შემუშავებულ იქნებიან ბოსნია-ჰერცოგოვინასთვის. ავსტრია თანხმდება, სხვა სახელმწიფოების თანხმობით გააუქმოს თავისი საფოსტო დაწესებულებანი ოსმალეთში. საკითხი ავსტრიის ალბანელ კათოლიკებზე პროტექტორატის მოსპობის შესახებ არ გარჩეულა.

ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა აცნობა პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს: საკითხი სერბიისა და ჩერნოგორიის და კომპენსაციის შესახებ არ გარჩეულა ოსმალეთ-ავსტრიის მოლაპარაკების დროს, მაგრამ ოსმალეთი მაინც უარს არ ამბობს თავის მოთხოვნაზე: ეს საკითხი გაირჩევა კონფერენციაზე.

**ვენა.** „კორესპონდ. ბიურო"-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: მინისტრთა საბჭომ მხოლოდ უმნიშვნელო შესწორებანი შეიტანა ოსმალეთ-ავსტრიის შეთანხმების განაჩენში. ავსტრიის ელჩმა 5 იანვარს პროექტი ვენაში გაგზავნა დასამტკიცებლად.

**ვენა.** „კორესპ. ბიუროს" სოფიიდან ატყობინებენ: ამ ბოლო დროს დიდ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა დაჟინებით [illegible] ბულგარეთის მთავრობას, რომ მან [illegible] ოსმალეთის მოთხოვნის [illegible] ხმად ჯამი ფულისა, რომელიც მან უნდა მისცეს ოსმალეთს აღმოსავლეთ რუმელიის შეერთებისთვის, ამასთანავე მათ ოსმალეთის მთავრობასაც სთხოვეს, მეტი თანხმობა გამოიჩინოს ბოლგარიასთან შეთანხმებაში. ოფიციალური წრეები ირწმუნებიან, რომ ბოლგარია გაადიდებს ფულის ჯამს, თუ სახელმწიფოები საზღვარ-გარეთის ბანკებში კარგ პირობებით უშოვნიან სესხს.

**ვენა.** „კორესპ. ბიუროს" სოფიიდან ატყობინებენ, რომ ტყუილია ის ხმები, ვითომ სტამბოლიდან ლიაპჩევი წასულიყოს.

**სტამბოლი.** გაზეთი „ტანინი" პასუხს იძლევა იმ წერილზე, რომელიც მის თვის „ბირჟევი ვედ." გაუგზავნია. „ტანინის" სიტყვით, რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმება, თუ კი ეს მოხერხდება, მთელი საუკუნის ერთ შესანიშნავ საქმედ უნდა ჩაითვალოს. გაზეთი რჩევას იძლევა, რომ ორსავე სახელმწიფოებში დაარსდეს კომიტეტები, რომელთა მიზანიც იქნება მოაწყონ ექსკურსიები, ლიტერატურულ ნასარმოებთა თარგმნა, ლექციები და სხვა. ბალკანეთის კავშირის შესახებ „ტანინი" ძლიერ პესსიმისტურად მსჯელობს და იმის განხორციელებას ბოლგარეთ-ოსმალეთის დამოკიდებულების გამოკეთებას უკავშირებს.

**საზღვარ-გარედ**

**დრეზდენი.** სოც.-დემოკრატებმა ოთხი კრება გამართეს. კრებებზე განიხილეს საკითხი საარჩევნო უფლების შესახებ. კრების გათავების შემდეგ რამდენმამე ათასმა კაცმა, 4 იანვარს მოიწადინა პოლიციელთა რაზმის გარღვევა და მეფის სასახლესთან მისვლა. პოლიციამ იარაღი იხმარა. დაჭრილნი ორივე მხრიდან არიან. ოცი კაცი დააპატიმრეს. ორი საათისთვის წესიერება აღადგინეს.

**ბერლინი.** ნაჟერიდან (მაროკო) კელნიშე ცაიტუნგ'-ს ატყობინებენ: მულაი-გაფიდთან შეიკრიბა დიპლომატიური კავშირი და აცნობა, რომ ევროპის სახელმწიფოებმა

# ფელეტონი

## სამი აყვავება

**კ. ბალმონტისა.**

(თავისუფალი თარგმანი)

დრამა *)

შვიდი ქალწული გამოდის დარბაზიდან. ყველას თავის მნიშვნელობის ტანისამოსი აცვია. შორს მუსიკა უკრავს და ქალწულები უსიტყვოდ ფერხულს თამაშობენ. მუსიკის ხმა შესწყდება და ქალწულნი სიმღერით ამბობენ სიტყვებს. როცა ერთიათავებს, მეორე ბოლო სიტყვებიდან იწყობს.

**შვიდი ქალწული.**

ჩვენ ვართ ნორჩი ყვავილნი,
და გვატკბობენ სიზმრები;
დილა-საღამო ჟამსა
თავს დაგვქრიან ფიქრები.
ვცოცხლობთ მშვენებისათვის
ვცოცხლობთ ოცნებისათვის.
ჩვენ ვართ ნორჩი ყვავილნი,
მშვენიერნი, გაშლილნი!

—

მთვარის ნათელ სხივებზე
შუადღისას თუ ღამით
ნაზ ფოთლებით შემკულნი
მშვენებისკენ მივილტვით.

—

წითელს, ყვითელს, ლურჯ ფე-
სამჯერ აყვავებაში რშ...,
არის უბედურება,
არის ბედნიერება!

ქალწულნი კვლავ ფერხულს თამაშობენ. შორს კვლავ მუსიკა უკრავს. რამდენიმე ხნის შემდეგ მუსიკის ხმა შესწყდება და ქალწულნი ამბობენ სიმღერით.

**შვიდი ქალწული:**

წამი აღთქმას გვპირდება,
წამი არ მეორდება.
ყველას დაეპატრონე,
რასაც მოგცემს სოფელი;
სიყვარულის ყვავილი
არის უფრო ცხოველი.

—

გვხედავთ შვიდსა ქალწულსა
მზის სხივი გვიწვავს სულსა.
გულო, სად ცოცხლობს ფიქრი?
ჩვენ ვართ შვიდი ქალწული;
წყვდიადისგან ოცნება
აწ გვაქვს დავიწყებული.

—

ვიცით, როცა მზე ჩადის,
ჩვენი აღთქმა ეს არის:
სხივი საღამოს ჟამის
წითლად შეღებილ ფერის
გულო წამი ტრფობისა
მიჰქრის მიეჩქარება;
სიყვარულის ყვავილი
მხოლოდ ერთხელ იშლება.
წამი სწრაფად გაჰქრება,
აღარ დაგვიბრუნდება!

ქალები დასხდებიან. პირი ნახევრად ელენესკენ აქვთ მიბრუნებული. **ქალ-ვარდის, ქალ-ყაყაჩოს, ქალ-მიხაკის, ქალ-ზამბახის** პირდაპირ ბელტოზე ჩამოჯდება **ქალი-მარჯანი**, მათ ფეხებს წინ, მარცხნით, **ქალი-ლალი** და მარჯვნით **ქალი-მტირალ-ბალახა**, სახე დაღვრემილი აქვს თითქოს ვისმეს ჰგლოვობდეს.

**შვიდი ქალწული**

ჟამი არ იცდის,
ჟამი მსწრაფლ მიჰქრის,
მზე ზღვის ტალღებში ჩაესვენება;
ერთმანეთს მშვიდათ
მოუთხროთ ვინ ვართ,
სანამ წყვდიადი მოგვეფინება.
კვლავ მოვიგონოთ წუთი-სოფელი,
ნუ შეგვაშინებს ჩვენ ღამე ბნელი!

**ქალი-ვარდი**

ხან მოკლე არის ნაზი ოცნება,
ჩქარა მიჰფრინავს, მიეჩქარება.
მე ვიცი მხოლოდ დილა-საღამო,
ამ დროს თავს დამქრის ფიქრი საამო.
მეფე-ვარდებით ამკობენ ბაღებს,
მაგრამ წყვდიადი მიმოკლებს დღეებს;
გულო, ჩაეკარ სხივის მშვენებას,
ვეღარა ჰნახავ ფიქრთ აჰყვავებას!

**ქალი-ყაყაჩო**

მინდორს ყაყაჩო ამკობს, ამშვენებს,
ვუმზერ ლაჟვარდ ცას, შევტრფი ვარსკვლავებს.
ჩემი ქვეყანა სიზმარეთია
სულითა ვხარობ ეშხით დამტკბარი;
გულო აღგზენ ტკბილი ზღაპრებით,—
უკვალოდ მიჰქრის ჩვენი სიზმარი!

**ქალი-მიხაკი**

მე ვარ მიხაკი,
ვეტრფი წითელ ფერს;
ნორჩად აღზრდილი
ვამკობ მინდორ-ველს.
ვკრთი და ვკანკალებ როს მაგონდება,
რომ კვლავ ოცნება არ აღიგზნება.
გულს ვეკონები სხივსა ცხოველსა
ცაზედ მზეს შევსტრფი, ძირს მინდორ-ველსა!

**ქალი ზამბახი:**

სიო იცრება,
ტყე იქრუშება,
მწვანით შებურვილს
ფერი ეცვლება.
როს ღრუბელთ გუნდი თავს დასტრიალებს,
ლურჯი ზამბახი ამ დროს იშლება.
ტყეში ვიზრდები
და ტყეში ვჰქნები.
ველი ჩემს ფურცლებს ეალერსება
მაგრამ ყვავილი მაინც იშლება.
გულო, შენც ჩემებრ ტურფად აჰყვავდი,
შორს გადიფანტე ნაღველი-დარდი!

**ქალი-ლალი:**

მხოლოდ ცეცხლის ალისათვისა
და მხურვალე დღისათვისა
საჭიროა ვიცოცხლოთ ჩვენ
ზამთარი და გაზაფხული;
მაგრამ გვწამდეს რომ დიდ ტანჯვას
მისდის დიდი სიხარული!
ზაფხული და შემოდგომა,
ლოდინი და ტანჯვა მწარე;
ყოველ დღეს და ყოველ წელსა
ცრემლი ვღვაროთ თვალთ მდუღარე!
დიდხანს მთეში თუ ლოდებ ქვეშ
მე ველოდი, დამრჩა თვალი
და აღიგზნო სიყვარული,
თალისმანი—მისი ლალი!

**ქალი-მარჯანი:**

მხოლოდ გულწრფელი სიყვარულიაზრთან აზრების შეთანხმებითა | თა,
შევქმნით მრჯნების ტურფა კუნძულსა,
მარად მშვენიერს, აჰყვავებულსა!
და აქ ვიდრემდის ჰგიეს სოფელი
იმეფებს გრძნობა და სიყვარული!

შვიდივე ქალწული ერთმანეთს ჩაეკონება და თვალებს დაბლა დაჰხრის. შორიდან მუსიკა მოისმის. **ქალი-მტირალ-ბალახა** მძიმედ თავს მაღლა ასწევს და გასწორდება. დაღონებულია, მაგრამ დიდებული გამომეტყველება აქვს. მუსიკა უცბად შესწყდება. ქალები შეკრთებიან, ადგილებს შესცვლიან და **მტირალ-ბალახას** უცქერიან.

**ექვსი ქალი:**

რად სდუმხარ, რაზედ მოგიწყენია,
რად არ გეგზნება შენც ჩვენთან გული?
ან იქნებ სხვა აზრს გაუტაცნიხარ,
მზე აღარ გიყვარს, დაბნელდა სული?
მთვარემ მოგხიბლა თუ შესტრფი ღამეს?
აღარ განიცდი გრძნობათ სიამეს?

**ქალი-მტირალ-ბალახა.**

წუთსა მეტად ჩქარა მქრალსა
რისთვის ასხავთ ქებათ-ქებას?
ოდესმე ტანჯვა და ნაღველი
მოსდევს მცირე ალტაცებას?
ბნელ ღამეში ერთი წამი
წელიწადზე ხანგრძლივია;
უაზრო და უსირცხვილო
სიტყვები მე დამიგმია!
მითხარით, რა გააკეთეთ,
ეშხით ფიქრსა რომ აბრუებთ
და ხან-მოკლე აგზნებისთვის
უბსკრულისკენ წყვდიადს მი- | სდევთ:
ვიცი, ვნების ფერადები
ჩემს გულშიაც იფურჩქნება;
ისიც ვიცი, მწარე ფიქრი
ყრუ ქოხში არ ნელდება!
თქვენ სიტყვების სამკაულსა
არ ვაკარებ ჩემსა გულსა;
არ მსურს სიზმრით გულს ვა- | ტკბობდე
ან ოცნებით ვახარებდე,
რაა ჩემთვის მზე ნათელი,
ანუ მთვარე შუქ მფრქვეველი?
ნაზი ფიქრი ამაოა,
წამით ცოცხლობს თქვენი ვნება;
ქოხი კი მუდამ მეფობს
იქ მე სული მეტანჯება.

ადგება, ელენეს უცქერის და შემდეგ ჩირგვებში მიიმალება

**ექვსი ქალი:**

აიშლებიან, ელენეს არც კი შეჰხედავენ და ნელის სიმღერით **მტირალ-ბალახას** გაჰყვებიან.

მზე ზღვის დასავალს ამოეფარა,
ჰმარხავს უფსკრული, შავი წყვდიადი;
მოჰქრის საღამო, თან მოსდევს ღამე
და მაინც მნათობს სხივი დიადი!..

ელენე მძიმედ ამოიოხრებს და წინ გაიწევს, თითქოს მიმავალ შვიდ ქალს მისდევდეს შემდეგ თავს მარჯვენა მკლავზე დააყრდნობს და სახეს დაჰფარავს. შეყვარებული დაბრუნდება და ელენეს უახლოვდება.

**შეყვარებული.** ელენე!

**ელენე.** (შემკრთალი თავს მაღლა ასწევს) მოხველ?

**შეყვარებული.** მზე ჩაესვენა, ელენე!

**ელენე.** მე წითელ ყვავილებს ვუცქეროდი!

**შეყვარებული.** ელენე, მიყვარხარ!

**ელენე.** მე წითელი ყვავილები ვნახე.

**შეყვარებული.** ელენე, ჩემი სიცოცხლე სიხარული და ბედნიერებაა.

**ელენე.** რა მშვენიერნი და სასიამოვნონი იყვნენ წითელი ყვავილები.

**შეყვარებული.** მიყვარხარ!

**ელენე.** ვეღარა ვხედავ წითელ ყვავილებს!

**შეყვარებული.** ელენე!

**ელენე.** წითელი ყვავილები სუსტნი ყოფილან!

**შეყვარებული.** ელენე, გონებას ჰკარგავ! რას ამბობ? მე შენ მიყვარხარ! თავი ანებე ყვავილებს... მიყვარხარ!

**ელენე.** შენ მოჰკალ ჩემი საყვარელი ყვავილი და მის ნაცვლად წითელი ყვავილები ვნახე. წითელი ფერი სასიამოვნოა. მაგრამ როცა სურვილი კვდება, წითელი ფერი ტლანქდება, იხრწნება. შენ მე წარმტაცე ჰაეროვანი ყვავილი. წადი, გამშორდი!

**შეყვარებული.** ელენე, შენ ეხლა მღუპავ! მაგრამ ორ სიცოცხლეს დაჰღუპავ!

**ელენე.** ჩემი თავი არ მებრალება, არც შენ შეგიბრალებ.

**შეყვარებული.** მე კი მიყვარხარ!

**ელენე.** გამშორდი!

**შეყვარებული.** (იარაღს სტაცებს ხელს) მოგკლავ!

**ელენე.** (მშვიდად) გიცდი!

**შეყვარებული.** (უკან დაიწევს, გულში ჩაიკრავს და დაბლა დაეცემა) მიყვარხარ!

**ელენე.** (დიდხანს უცქერის) ნუ თუ სიყვარულს მაგას ეძახი?!

**ა. შანშიაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „დროება", N 4.

მეფედ გცნესო. მული-გაფიდმა სთქვა: იმედი მაქვს, რომ დაცული იქნება კარგი განწყობილება სახელმწიფოებთან, რაიცა სასურველია მაროკკოს პროგრესისა და კეთილ დღეობის თვისაო.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ განაგრძო კამათი იმ შეკითხვაზე, რომელიც მაროკკოს შეეხება. ჟორესმა შიში გამოსთქვა, რომ საფრანგეთის შემარიგებელი პოლიტიკა მაროკოში, რომელიც მიმართულია საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვებისაკენ, გერმანიის გავლენიან წრეებში მტრულ დიპლომატიას შეხვდებაო. დეპუტატი დენიკიმონიც მთავრობის პოლიტიკას ჰკიცხავდა. მინისტრ პიშონმა განაცხადა, მომხრე ვარ სამედიატორო სასამართლოსიო და ირონიულად შეჰხედა ჟორესის სიტყვას, ვითომ საერთა-შორისო მშვიდობიანობას საფრთხე მოელოდეს საფრანგეთის მაროკოში მოქმედებიდანაო. პიშონს სწამს, საერთაშორისო, მშვიდობიანობა, რაიც საფრანგეთის მუდმივ ზრუნვას შეადგენს. დიდის თანაგრძნობით მოიხსენია საფრანგეთის მოკავშირენი და მეგობრები: ინგლისი ყოველთვის იძლეოდა თავის მშვიდობიან პოლიტიკის მაგალითებს, რუსეთიც ყოველთვის თანხმობაში იყო საფრანგეთთან. პალატამ (380 ხმით წინააღმდეგ 98-სა) მოიწონა მთავრობის პოლიტიკა და 1459 ხმით წინაღმდეგ 67-სა) მიიღო დამატებითი კრედიტი მაროკკოსთვის.

**ბერლინი.** ლანდტაგში ტრიბუნები და დეპუტატთა სკამები სავსეა. ბიუჯეტის განხილვის დროს ბიულოვმა სიტყვა წარმოსთქვა და ილაპარაკა იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს ხელმწიფოებთან. მან სთქვა, იმპერიის კანცლერის მოვალეობაა თავის თავზე მიიღოს ხელმწიფის მოქმედებანი, ხოლო როდესაც ამას ველარ შესძლებს, თანამდებობას თავი უნდა დაანებოსო. შემდეგ ბიულოვმა მიუთითა პარლამენტს გერმანიის ყაირათიანობაზე.

**ლონდონი.** ინგლისის მეფე-დედოფალი ბერლინს მიემგზავრება 26 იანვარს, დაბრუნდება 30.

**საკრამენტონ** (კალიფორნიის შტატი). კალიფორნიის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო იაპონელების წინააღმდეგ მიმართული კანონ-პროექტი, რომლითაც უცხოელებს ეკრძალებათ, მიწა შეიძინონ კალიფორნიაში.

### რუსეთი

**ლოძი.** ექვსი კვირის გაფიცვის შემდეგ ლუი გეიერის სააქციონერო საზოგადოების 3700 მუშა მუშაობას შეუდგა. მუშებმა მექარხნის პირობები მიიღეს.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა სრულიად რუსეთის ჰაერში ფრენის შემწყობ საზოგადოების საბჭოს შუამდგომლობაზე, რომელიც თხოულობდა შემოწირულების მოგროვების ნებართვას ჰაერში მფრინავ ფლოტის მოსაწყობად (ომის დროს ეს ფლოტი სამხედრო და საზღვაო მინისტრების განკარგულებაში გადავა), კეთილ ინება და შემდეგი წააწერა: **„სიამოვნებით ვეთანხმები და ვუსურვებ სამშობლოს ამმხრივ გამარჯვებას“.**

**მოსკოვი.** დასრულდა სრულიად რუსეთის საელექტრო-ტეხნიკო კრება. შემდეგი კრება დაინიშნა 1910 წლისათვის, საშობაოდ.

გენერალ-გუბერნატორმა აკრძალულ წიგნების გავრცელებისა და გაყიდვის შესახებ ახალი სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რომლითაც წინანდელი დადგენილებანი უქმდება. ახალ სავალდებულო დადგენილებით, აკრძალულ წიგნებისა და სურათების შენახვა მაღაზიებსა, კიოსკებსა და წიგნთ-საცავებში იწვევს ჯარიმას 3,000 მანეთამდე ან და დატუსაღებას სამ თვემდე.

**ვარშავა.** იტალიაში გარდაიცვალა „ვარშავის ბიბლიოთეკის“ გამომცემელი გრაფი ადამ კრასინსკი.

**ვილნო.** პოგულიანკაში სახლის გაჩხრეკის დროს პოლიციის წინააღმდეგობა გაუწიეს. ბოროტ-განმზრახველებმა დასჭრეს ორი აგენტი: ერთი მუცელში, მეორე ხელში. ბოროტ განმზრახველები, ორი ებრაელი შეიპყრეს მათ აღმოაჩნდათ ორი ყუმბარა, ხანჯალი და ბრაუნინგი.

**პეტერბურგი.** უმაღლესად მოწონებულ იქმნა მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომლითაც შინაგან საქმეთა მინისტრს ნება ეძლევა, წარუდგინოს საკანმდებლო დაწესებულებებს იმპერიის სტატისტიკურ ნაწილის მოსაწყობი პროექტი. სტატისტიკურ საბჭოს და ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის მაგიერ მინისტრთა საბჭოსთან დაარსდება მთავარი სტატისტიკური მართველობა, რომელიც დაექვემდებარება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** დღეისთვის დანიშნულია ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა. საბჭომ, სხვათა შორის, უნდა განიხილის საკითხი შუამდგომლობის აღძვრის შესახებ, რომ წელს ქალაქს პოლიციის შესანახად მიეცეს სესხი 100,000 მანეთამდე.

✦ **ყუმბარის აფეთქება ბაქოში.** ბაქოში 3 იანვარს, საღამოს შვიდ საათზე, თუმაევის მაღაზიაში შესულა ვიღაც უცნობი, დაუდვია ფითილ-მოკიდებული ყუმბარა, დაუყვირნია, „თავს უშველეთო“ და გაქცეულა. შეშინებული ნოქრები რის ვაი-ვაგლახით გავარდნილან გარედ. მათ ყვირილსა და ხმაურობაზე მეზობელ მაღაზიებიდან ნოქრები გამოსულან და მაღაზიასთან მისულან ამბის გასაგებად. ამ დროს მაღაზიაში გამსკდარა ყუმბარა და დაუჭრია 12 კაცი, ზოგი მსუბუქად, ზოგიც მძიმედ. ერთი დაჭრილთაგანი უკვე გარდაიცვალა. შიგ მაღაზიაში ყველაფერი დამტვრეულა და განადგურებულა. ახლო-მახლო სოფლებში ფანჯრები სულ დამტვრეულა. მაღაზია, სადაც ყუმბარა გამსკდარა, ეკუთვნის ცნობილ მდიდარ ვაჭრს ასრიევს. ასრიევისთვის ამ რამდენიმე ხნის წინად მოუთხოვიათ 10,000 მანეთი, მაგრამ მას უარი შეუთვლია. ამბობენ, რომ ეს იყო ყუმბარის აფეთქების მიზეზიო.

✦ **სათავად აზნაურო ბალი.** 6 იანვარს ტფილისში გამართულმა სათავად-აზნაურო ბალმა კარგად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო.

✦ **სამხედრო წესის მოხსნა რკინის გზაზე.** ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე სამხედრო წესები მოუხსნიათ და ამის ნაცვლად რკინის გზის დასაცველად დაუწესებიათ სტრაჟნიკების რაზმი. ამ რაზმში 300 კაცია; ყველანი სალდათებად ნამყოფნი არიან. რაზმისთვის განსაკუთრებული ფორმაა შემოღებული. რაზმი შეიარაღებულია თოფებით და რევოლვერებით. უფროსობს აფიცერი. (ტ. ლ.)

✦ **რეალურ სასწავლებლის დირექტორის დაჭრა** კიევში ხუთ იანვარს ადგილობრივ რეალურ სასწავლებლის დირექტორს მოხირს შეჰვარდნია ორი ვიღაც უცნობი კაცი. შევარდნილთ რამდენჯერმე უსროლიათ რევოლვერი და დირექტორი მძიმედ დაუჭრიათ. ერთი ტყვია მოჰხვედრია თავში, მეორეს ხელი გაუხვრეტია. მსროლელნი ამის შემდეგ გაქცეულან და მიმალულან.

✦ **ოპერა და მომღერალი ვან-ბრანდტი.** შაბათს სახაზინო თეატრში მეორე გასტროლია ცნობილ მომღერალის ქ-ნ ვან-ბრანდტისა. იგი შეასრულებს „ტრავიატა“-ში ვიოლეტას პარტიას, რომელიც ერთი საუკეთესოა მომღერალ ქალის რეპერტუარში.

✦ **წარმოდგენა.** პარასკევს, 9 იანვარს, სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ი. რამიშვილის პიესა „მეზობლები“ მონაწილეობას იღებენ ქ-ნი ჩერქეზიშვილისა და თვით ავტორი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ დღეისთვის დანიშნულია ჩვეულებრივი სხდომა ქ. შ. წ.-კითხვის საზოგადოებისა ამგეობისა რამდენიმე საქმის განსახილველად.

✦ 5 იანვარს, საღამოს 7 საათზე, ბიდ-რის ქუჩაზე, ორმა უცნობმა სამჯერ რევოლვერი დაახალა და შემდეგ დანით დაჭრა მოქალაქე მნაცაკან აბულიანცი. დაჭრილი გაგზავნეს მიხეილის საავადმყოფოში. ეჭვით დააპატიმრეს მოქალაქე ვანო ლოლაძე და ტფ. მაზრის მცხოვრები გიორგი გოლიტაშვილი, რომელნიც აბულიანცის დაჭრამდე ქეიფობდნენ ფოსტისა და კაპგეროვის ქუჩის შესახვევთან, ტერაბრამოვის დუქანში. დაპატიმრებულთ იარაღი არ აღმოაჩნდათ. აბულიანცის მოკვლის განზრახვა პოლიციის გამოძიებით რომანტიულს ნიადაგზე უნდა მომხდარიყოს.

✦ სიონის ქუჩაზედ ანანოვის ქარვასლაში 6 იანვარს, 9 საათზე, საკომისსიო კანტორის პატრონს ნესტორ რატიანს შეუვარდა 5 შეიარაღებული კაცი მაუზერებით და მუჭარით ფული მოსთხოვა. რატიანმა ამოიღო 26 მ. და გადასცა. მძარცველები არ დასჯერდნენ, წაართვეს საათი ოქროს ძეწკვით, გაიძვრეს საზამთრო პალტო და მიიმალნენ.

✦ 5 იანვარს პოლიციამ მეტეხის ქუჩაზე დააპატიმრა უცნობი კაცი მოპარულის დიდი ხალიჩით და სხვა-და-სხვა ნივთებით. იგი ოსმალეთის ქვეშევრდომი ალაბაზოვი აღმოჩნდა. როგორც გამოირკვა, ალაბაზოვს აღნიშნული ნივთები არუთინა ალაბაზოვის სახლიდან მოუპარავს.

✦ 6 იანვარს, დილის 9 საათზე, ნაზარეთის ქუჩის მცხოვრებმა სტეფანე გრაროვმა პოლიციას გამოუცხადა, რომ ჩემ შინ არ ყოფნის დროს სახლი გამიტეხეს და სხვა-და-სხვა ნივთები მომპარაო.

✦ 5 იანვარს დააპატიმრეს ტფ. მცხოვრები დანიელ ოჰანეზოვი, რომელიც 30 დეკემბერს გაქცევის დროს მოკლული კონსტანტინე კრასნოვთან ერთად აპირებდა ავჭალის ქუჩაზე ხერატუროვის დუქნის გაძარცვას.

✦ 6 იანვარს დილით მდინარე ვერის ხიდ ქვეშ ნახეს გვამი უცნობ მათხოვარი ქალისა. მკვდარს აღმოაჩნდა ჯიბეში 4 კაპ.

✦ გრიბოედოვის ქუჩაში მცხოვრების ლ. ვასილიევისთვის 6 იანვარს სახლიდან ქურდებს მოუპარავთ 173 მანეთის ნივთები.

✦ მიხეილის ქუჩაზე 6 იანვარს, საღამოს 4 საათზე, ვიღაცამ პეტარდა დაუგდო ელექტრონის ვაგონს.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ როგორც გაგვიგეთ, ქალაქის საბჭოს მიერ აღძრული შუამდგომლობა მეხუთე აფთიაქის გახსნის ნებართვის შესახებ მალე გადასწყდება საგუბერნიო სამმართველოში ქალაქის სასარგებლოდ.

✦ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარემ თავ. ა. მ. ერისთავმა ამბად ჩამოიტანა პეტერბურგიდან, რომ ფინანსთა მინისტრსა და სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარეს შესაძლებლად უცვნიათ ახლო მომავალში გახსნან ქუთაისში სახელმწიფო ბანკის განყოფილება.

✦ ქალაქის სასკოლო კომისიამ დაადგინა ივანე გვედესიანის მიერ შემოწირულ ფულით აგოს ქალაქის მეორე საქალებო სასწავლებლის შენობა გენერლის ქუჩაზე, მაჭავარიანისეულს ადგილზე.

ქალაქის საფინანსო კომისიას საჭიროდ უცვნია ქალაქის გეგმის შედგენა, რომლის უქონლობითაც ძლიერ ბრკოლდება ქალაქის სააშენებლო ნაწილი. გეგმის შედგენა, სპეციალისტების გამოთხარიშებით, დაჯდება სულ 15,000 მანეთამდე. მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში კომისიას სურს შეიტანოს მხოლოდ 2,000 მანეთი.

✦ საფინანსო კომისიამ გადასწყვიტა, აგვის ფონდის გასაძლიერებლად შეიტანოს სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში 200 მანეთი.

## სპარსეთის ამბები

**სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დღევანდელ მდგომარეობაზე.**

გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტს უნახავს სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი სადე-დოულე და ულაპარაკნია მასთან. მინისტრის აზრით, სპარსეთის დღევანდელი მდგომარეობა მეტად მწვავეა, მთავრობის მდგომარეობა არაფრით არ არის უზრუნველ ყოფილი და დიდ საფრთხეშიაო. რეფორმების განხორციელება შეუძლებელია, რადგან არა გვყავან ისეთი მოხელენი, რომელთაც რამე გაეგებათ საქმისა. თუ რეფორმების განხორციელებას შევუდგებით, აუცილებლად დაგვჭირდება უცხოელ მრჩეველებისა და სპეციალისტების მოწვევა. ხაზინა დაცარიელებულია, არა გვაქვს საშუალება, ჯამაგირები ვაძლიოთ ჯარსა და მოხელეებს. საგარეო სესხი 200 მილიონ მანეთისა ერთადერთი ნუგეშია საფინანსო კრიზისის შემსუბუქებისათვის. შაჰის თუმცა სურს, ახალი წესწყობილება დაამყაროს სპარსეთში, მაგრამ თავის გარშემო ვერა ჰხედავს ისეთს პირებს, რომელნიც დაინტერესებულნი იქნებიან ქვეყნის მშვიდობიანობით, ამასთან არც სახსარია, რომ ახალი რეფორმები გავატაროთ ცხოვრებაში. შაჰი შეფიქრიანებულია შეიძლება კიდევ ახალმა არეულობამ იფეთქოსო. უწესოების წყაროდ პირველ მეჯლისსა სთვლის. ახალი მეჯლისი ისეთი იქნება, რომ ყველას შეარიგებს და ქვეყანას დაამშვიდებსო. მოსალოდნელია ახალ მინისტრების დანიშვნა. რეაქციონური პარტია დიდს წინააღმდეგობას გვიწევს, იგი რეფორმების დაუძინებელი მტერია. მოხუცი სამღვდელონი წინ უდგებიან მთავრობის ყოველ სურვილს რაიმე ახალი წესების შემოღებისთვისაო. მინისტრს უთქვამს, რომ ამ ბოლო დროს უფრო გაძლიერდა რევოლიუციონერების მოქმედება კონსტიტუციის აღსადგენად. რუსეთ-ინგლისის შეთანხმება ააღვილებს სპარსეთის განახლების საქმეს. მინისტრი ღრმად დარწმუნებული ყოფილა, რომ თუ რუსეთი დაგვეხმარება ზნეობრივად და ქონებრივადაც, შევძლებთ ავაღორძინოთ დაბეჩავებული სპარსეთიო. მან ბოლოს ისიცა სთქვა, რომ ისპაჰანის გუბერნატორი ფერმან-ფერმა შეეცდება მოლაპარაკებით, მშვიდობიანურად აღადგინოს ისპაჰანში შაჰის უფლებები. „თუ ამ გზით ვერაფერს გახდება ფერმან ფერმა, შეიარაღებული შეტაკება მოსალოდნელიაო, განაცხადა მინისტრმა.

ამავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ, რომ სომხის არქიმანდრიტმა ურჩია დაშნაკცაკანებს, რომელნიც მონაწილეობას იღებენ თავრიზის რევოლიუციაში, გადით თავრიზიდან, თორემ მთავრობის ჯარი რომ შემოვა, სომხების აკლება-აწიოკება აუცილებლად მოხდებაო. დაშნაკცაკანებმა უარი განაცხადეს ქალაქიდან გასვლაზე. ალანდარში რევოლიუციონერებმა ზარბაზანი შეიძინეს შაჰის ჯარი თავრიზს ყოველ მხრივ ეტევება, მოსალოდნელია დიდი ბრძოლა. სათარ-ხანს დიდი პოზიცია წაართვეს, ევროპიელებს კიდევ მოუხდებათ ალყის შემორტყმის მძიმე დღეების განცდა.

**ცარცვა-გლეჯა თავრიზში და აგიტაცია სათარხანის წინააღმდეგ**

„ტფ. ლ.“ კორესპონდენტი სწერს: „ცარცვა-გლეჯა ძალიან გახშირდა თავრიზში. ამ დღეებში გასცარცვეს ცნობილ ლიბერალის ფერმა-ფერმის მდიდარი სახლი. იმის ქონების გატაცებას 400 კაცი მთელი დღე მოუნდა. მაქოელებმა მარანდიდან ოცი ვერსის სიშორეზე გასცარცვეს სპარსეთის ფოსტა, რომელიც ჯულფიდან მიდიოდა. ლონდონიდან ჩამოსული აგიტატორი და პირველ მეჯლისის წევრი ტაღ-ზადე ძლიერ აგიტაციას ეწევა სათარხანის წინააღმდეგ. ენჯუმენში მან განაცხადა, რომ სათარხანმა და ბაგირ-ხანმა მძარცველობა გაამეფესო. საგებლობს იმით, რომ ხალხში სახელი ჰქონდა გავარდნილი და თავრიზელ რევოლიუციონერებს მიწასთანასწორებს. ჯულფის მახლობლად ქურთებმა გასცარცვეს ერევნელ ვაჭრების 225 აქლემიანი ქარავანიო.

## ფიქრები აღზრდა-განათლების შესახებ

III

თანამედროვე სკოლა საკმაოდ განხილული და გაკიცხულია. იმისი მიზანი, ყველასათვის თვალსაჩინო, აწინდელ წყობილების გავლენის გამტკიცებაა. ამ სკოლის მისწრაფება წინდაწინ შედგენილ, შეურყეველი რეცეპტის თანახმად, მოწაფეთა ტვინის გამოლაყება და დღევანდელ წეს-წყობილების უძრავ საფუძვლად გადაქცევაა. სათქმელიც არ არის, რომ ამგვარ სკოლას არავითარი კეთილი გავლენა არა აქვს მოწაფეებზე და შეუძლებელია წარმოსდგეს იქიდან რაიმე კეთილი თაოსნობა ჩვენი შვილების დასახსნელად. ამ საქმეს ისევ ჩვენ უნდა მოვკიდოთ ხელი, ჩვენ თავს თვით ჩვენვე უნდა ვუშველოთ თანამოაზრე და თანამგრძნობ ოჯახებისა და მშობელ-აღმზრდელების თავისუფალ კავშირთა შექმნა-აღორძინებით.

უმთავრესად დღევანდელ წყობილების მექომაგე სკოლების წყალობით იშვიათად შეხვდებით ისეთ განათლებულ კაცს, რომელსაც წაუკითხავს სახარება და რომელმაც ქრისტიანულ მოძღვრების ძირითადი საფუძველი იცის. ულრმესი სიბრძნის წყარო, ცხოვრების მთელი ფილოსოფია, რომელიც მარტივი და მძლავრად მომქმედი სურათებით ნათელს ჰფენს ადამიანის ცხოვრების საგანს ამ წუთი-სოფელში, ყველა ეს დღეს უძრავი, მკვდარი განძია განათლებული საზოგადოებისათვის, რადგან მის თვალში ქრისტეს მოძღვრება გაცილისწამებული და გაბათილებულია. ამ მაღალ მოძღვრების ძირითადი აზრი ბავშობიდან დაკავშირებულია განათლებულ კაცის ხსოვნაში უძრავ, მკვდარ წესებთან, იმ გაქვავებულ ცერემონიალთან, რომელიც მხოლოდ მოწმობს, რომ სიცოცხლე კარგა ხანია მოშორდა იმის სხეულს.

ქრისტიანულ მოძღვრების ვითარება, ის ცოცხალი, უშრეტი წყარო, რომელიც იმის სიღრმეში სჩქეფს, რომელსაც შეუძლებელია წინ-და-წინ მიათვისოთ რაიმე განსაზღვრული გარეგნული კალაპოტი, სახელმწიფო წყობილებამ წინასწარის განზრახვით "ვიწრო მატერიალისტურ კალაპოტში მოათავსა, ისეთი უსიცოცხლო სახით შემოსა, რომელიც თვითეულ გონიერ ადამიანს სათაკილოდ ეჩვენება და თვით სიტყვა „ქრისტიანობა“ შეაძულა. გარეგნულ წესების წინ-და-წინ შექმნილ-შეთხზული ერთფეროვანება თავის უძრავი ვითარებით ცხადად მეტყველებს, რომ სიცოცხლე ადამიანმა არ აქ, არამედ სხვაგან უნდა ეძებოს. მზე და ზეცის დამამშვენებელ ღრუბლებს ყოველთვის სხვა-და-სხვა ფერი ჰარმონიული ქსოვილი ცხადად გვიმხელს მარად ცოცხალ გენიოსურ შემოქმედებას, ბუნების მშვენიერ კალთას ამოფარებულ „დიდებულ მხატვარს“.

ქრისტიანობის დიადი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ცხოვრების თეორია და პრაქტიკა იქ ერთმანეთისაგან განუშორებელი, ერთმანეთში ორგანიულად ჩაქსოვილია. ეს მოძღვრება სავსებით პრაქტიკული და ამავე დროს უმაღლეს იდეალის შუქით განათებულია. გადამახინჯებულმა ქრისტიანობამ კი ეს მოძღვრება ადამიანს ცხოვრებისაგან მოწყვეტილად წარმოუდგინა, ქრისტიანობის სახელი მიათვისა და ბავშობიდან შეგვაძულა ცოცხალი, ნამდვილი ქრისტიანობა.

ცოცხალი, ვერცხლის წყალივით მოძრავი ბუნება ბავშვისა ვერ უძლებს ვერავითარ მკვდარ ფორმებს, გაურბის და ვერ ითვისებს იმათ. მოძღვრება, ცხოვრებაში განუხორციელებელი, აბეზარ-ერთფეროვანი, უსიცოცხლო თეორია, რომლითაც ბავშვებს ქრისტიანობის სახელით გაუმასპინძლდებიან ხოლმე, ზიზღსა ჰგვრის იმათ მათთვის უცნობი ნამდვილი ქრისტიანობის მიმართ. ყველა ეს სძულთ ბავშვებს, როგორც ყოველ-დღიურ ცხოვრების მაგალითებში განუხორციელებელი მშობელ-აღმზრდელ მასწავლებელთა მშრალი, უსიცოცხლო ზნეობრივი მოძღვრება. ისე იცხოვრეთ ბავშვებთან, რომ თქვენი ცხოვრება ცოცხალი იყოს, იცხოვრეთ ისე, რომ თქვენი მოქმედება ამ მსოფლიოს ვითარების ღრმა იდეალისტური შეგნებისაგან გამომდინარეობდეს, რომ ცხოვრების მოვლენანი თქვენ თვალში კაცთ-მოყვარეობის შუქით იმოსებოდეს, იცხოვრეთ ისე, რომ ბავშვებისათვის [illegible] წმინდა [illegible] განუწყვეტელ [illegible] ნი [illegible] თანხმობით, და მაშინ თქვენ ჩაუნერგავთ ბავშვებს ნამდვილ ქრისტიანობას, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ხელს შეუწყობთ მათ სულში იმ ჰუმანურ თვისებების გაშლა-აღორძინებას, რომელიც ამ სულს მოსდგამს, რადგან „ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია“.

ილია ნაკაშიძე.

## წერილები

**სურამი.** ზამთრობით სურამის ცხოვრება არაფრით განირჩევა პროვინციალურ დაბის ცხოვრებისაგან. ისეთივე გულსაკლავი ერთფეროვნება, მასწყენი სამარისებური დუმილი, რომელიც ირღვევა ხოლმე მარტო მთქეიფეთა ღრიანცელით. ისე რომ სურამის სიცოცხლის ნიშან-წყალს ისევ სამიკიტნო დუქნები აძლევენ. რაც შეეხება კულტურულ მუშაობას—მასზე ნურას იტყვით; მისი ნატამალიც არ არის. პირველ შეხედვით იფიქრებთ, თითქოს სურამს ინტელიგენტური ძალები აკლდნენ, მაგრამ ეს სიმართლეზე შორს იქნება. სავალალო და სავაგლახო სწორედ ისაა, რომ ინტელიგენტები საკმაოდ არიან, მაგრამ საზოგადო საქმეს გაურბიან და მას სანაცვლოდ „შარების“ გაგორებას და სამიკიტნოში ქეიფს ანაცვლებენ. მერე რა უმწეო სურათს წარმოადგენს სურამი? რამდენი საქმეა გასაკეთებელი? სხვათა შორის განმათავისუფლებელ მოძრაობის ზეგავლენით ამ ორი წლის წინად განიზრახეს აქ დრამატიულ საზოგადოების დაარსება. სადაც ჯერ არს კაგზაგეს თხოვნა და, როგორც იყო, ნებართვა მოვიდა. აგერ რამდენი ხანია, დრამატიულ საზოგადოების არსებობა კი არავის უგრძვნია. არც კი იცოდა, თავი მოეყარათ სცენის მოყვარეთათვის, დაექირავებიათ შენობა და დეეწყოთ მუშაობა. წარმოდგენების მართვას კი დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ერთ წერტილზე გაყინულ სურამის ცხოვრების გამოცოცხლებაში. სხვა არა იყოს რა, სურამელების მიძინებაც გრძნობებს გამოაფხიზლებდა და დაანახვებდა მათ, რომ გარდა ბანქოსი და ღვინისა არის რამ, რასაც სულიერი მოთხოვნილება ჰქვიან. ეს კიდევ არაფერი. კაცი შეურიგდება უწარმოდგენობას, მაგრამ სირცხვილი არ არის, რომ სურამში ერთი სამკითხველოც არ იყოს. რას უნდა მიეწეროს, რომ ათიოდე წლის წინად სცოცხლობდა სამკითხველო, მკითხველიც ჰყავდა და დღეს კი მისი სახსენებელი აღარ არის. ნუ თუ სურამელები სულიერ მოთხოვნილებას არა გრძნობენ! მაგრამ რას ვამბობ, რის სულიერი მოთხოვნილება, როდესაც მთელ დაბაში 4 თუ 6 კაცი კითხულობს გაზეთს. ამავე დროს კი დიდი ხალისით ეკიდებიან სურამელები ინტელიგენტ-ჩინოვნიკების იდეას— „საკარტო კლუბის“ დაარსების შესახებ. საზოგადოდ აქაური ინტელიგენცია არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე თავის განკერძოებულ ცხოვრებით და საზოგადო საქმისადმი ინდიფერენტიზმით.

როგორც ვიცით, ენკენისთვეში გაიხსნა აქ პროგიმნაზია, რომელშიაც ამ ჟამად 100 მოსწავლე ითვლება. 26 ქრისტეშობისთვეს პროგიმნაზიაში გაიმართა დილა, რაზედაც მშობლები იყვნენ მიწვეულნი. დილამ სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. დილამვე დაგვანახვა პროგიმნაზიის სუსტი მხარეც. მე მის ფინანსებზე მოგახსენებთ. თურმე პროგიმნაზიის კასაში ამ ჟამად 150 მანეთია. არ იციან, ჯამაგირი საიდან მისცენ მასწავლებელთ. როგორც ვიცით, პროგიმნაზიის შენახვა სურამს აქვს ნაკისრი. სურამელებმა აქაც დაუდევრობა და გულგრილობა გამოიჩინეს. თავის მოჭრა და სირცხვილი არ არის სურამელებისთვის რომ მასზე უფრო მცირე რიცხოვანმა დაბებმა პროგიმნაზია, ქალების გიმნაზია, მრავალი დაბალი სასწავლებელი უნდა შეინახონ საკუთარი ხარჯით, სურამმა კი ერთის შენახვაც ვერ შეძლოს. სირცხვილია სხვა არა იყოს რა.

წერილის დასასრულ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ სურამში მომხდარი ცვლილებანი. გან ქნებულ მთავრობის მამასახლისის ვეზარიშვილის ნაცვლად დანიშნა ფალავანდიშვილი. **უიმედო.**

**ნახიჩევანი.** როგორც „დროება“-ში უკვე იყო აღნიშნული, 31 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, სასიკვდილოდ დასჭრეს აქაურ საპყრობილის ზედამხედველი იასონ ბერძნიშვილი, ეს უკანასკნელი თავის ვაჟიშვილით ეტლით მიდიოდა. ამ დროს დახვდა ბოროტგამზრახველი, რუსი კოჟანოვი, ციხის ყოფილი დარაჯი, და რამდენიმე ტყვიით დასჭრა ბერძნიშვილი. კოჟანოვს თავის ქცეულით ტუსაღები გაემწვავებინა. ტუსაღებმა ზედამხედველს მიმართეს. როცა უკანასკნელმა კოჟანოვს პასუხი მოსთხოვა, კოჟანოვმა უცელაფერზე უარი სთქვა და დაუმატა, რომ ტუსაღებს არაფერი არ უნდა დაუჯეროთო. შემდეგ ბერძნიშვილი თვითონ დაასმინა მაზრის უფროსთან: ამის შემდეგ ბერძნიშვილი იძულებული იყო, კოჟანოვი სამსახურიდან დაეთხოვა. კოჟანოვმა იარაღის აყრაზე უარი განაცხადა. ვიდრე მაზრის უფროს შესაფერ განკარგულებას მოახდენდა, კოჟანოვმა შემთხვევით ისარგებლა და ჯავრი იყარა. დაჭრილი ადგილობრივ საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც ორს იანვარს გარდაიცვალა. განსვენებულს კარგი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

**ნახიჩევნელი ქართველი.**

# რუსეთი

—:—

✦ **200,000 მანეთის მოგება.** 2 იანვრის ტირაჟის დროს ორასი ათასი მანეთი მოუგია პეტერბურგის სახალხო სახლის არტისტების ერთ ჯგუფს.

✦ **სტოლიპინის განკარგულება.** ხმა დადის რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოფლის მოხელეებისათვის აუკრძალავს შავრაზმელების ლიტერატურის გავრცელება.

✦ **ახალი უნივერსიტეტი.** დემიდოვის ლიცეის პროფესორთა საბჭოს საერო განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს ლიცეის უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ.

✦ **კალენდრის რეფორმა.** სამეცნიერო აკადემიასთან შემდგარმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა კალენდრის რეფორმა, დაამთავრა მუშაობა. მთავარი საფუძვლები რეფორმისა შემდეგია: 1. წელიწადი უდრის 365 დღეს. ნაკიანი წელიწადი 128 წელიწადში ერთხელ უნდა იყოს. თუ ესე იქნება, მაშინ 24 საათის შეცდომა 100,000 წელიწადში ერთხელ მოხდება; 2. წელიწადი იწყება გაზაფხულის გათანასწორებიდან (9 მარტს); 3. წელიწადთა რიცხვის დაწყება ისევ პირობითია; 4. უნდა მიღებულ იქმნას ყველასათვის ერთი მერიდიანი, რომელიც გადაივლის ეგიპეტის ერთ-ერთ პირამიდაზე. წელიწადი სრული უნდა იყოს, უნდა წესიერად იყოს გაყოფა წელიწადისა კვირეებად, დღეებად. ასე რომ წელიწადი ყოველთვის კვირა დღით უნდა თავდებოდეს და ორშაბათობით იწყობოდეს.

✦ **ვიტტეს ახალი თანამდებობა.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, გრაფ ვიტტეს გარეშე საქმეთა მინისტრობას აძლევენ.

✦ **პარტიების კრება.** 10 იანვარს ქალაქ რიგაში დაიწყება კრება ბალტიის—კონსტიტუციონალურ, კურლიანდიის მონარქიულ-კონსტიტუციონალურ და ლიბერალურ-კონსტიტუციონალურ და ესტლიანდიის კონსტიტუციონალურ პარტიებისა. განზრახულია ამ პარტიების შეერთება.

✦ **თვითმკვლელობანი.** დღესასწაულებში, 24 დეკემბრიდან პირველ იანვრამდე, პეტერბურგში თავი მოუკლავს 45 კაცს.

✦ **ჩამოხრჩობა**, ჩამოახრჩვეს: ეკატერინოსლავში—3 კაცი, კიევში 1; ჩამოხრჩობა გადაწყვეტილი აქვს რიგაში 1, ვარშავაში 2 კაცს

✦ **გენერ. რეინბოტის საქმე.** „რუსკოე სლოვოს“ სიტყვით, პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, რომ მოსკოვის ყოფილ გრადონაჩალნიკის გენერალ რეინბოტის საქმეს სპობენო.

✦ **რაბინების კრება.** ვარშავაში დაიწყო სრულიად რუსეთის ებრაელთა რაბინების კრება. კრებაზე უმეტესად მოხუცი რაბინები არიან, ამიტომ კრებას რეაქციონური ხასიათი აქვს. რაბინების რეაქციონურ ნაწილს კრებაზე შეუტანია, რომ ეთხოვოს მთავრობას, მოსპოს ის წიგნები, რომლებიც მათის აზრით, ებრაელ ახალგაზდებზე ცუდ გავლენას ახდენენ სარწმუნოების მხრივ. იმის გამოსარკვევად, თუ რომელი წიგნია ცუდი, რაბინები თხოულობენ, დაარსდეს თითეულ გუბერნიაში კომიტეტები, რომელნიც გამოარკვევენ ამას. ერთ რაბინს მოუთხოვნია, ნებას ნუ მივცემთ, რომ ებრაელმა ბავშვებმა საერო სკოლებში იარონ, რადგან ეს სკოლები ებრაელ ბავშვებს რყვნიანო, ქალებს კი, მისი აზრით, სწავლა სულ არ ესაჭიროებათო. მისი თანამოაზრენი ამას ტალმუდით ამტკიცებენ.

# უცხოეთი

**მოხელეთა კავშირი.** როგორც ამას წინად ვწერდით, საფრანგეთში მოხდა რკინის გზებისა, საზოგადო და მთავრობის დაწესებულებათა მოხელეების კონგრესი. კონგრესმა დაადგინა, იბრძოლოს სინდიკალურ თავისუფლებისათვის, ე. ი. პროფესიონალურ კავშირებში შესვლის უფლებისათვის. ამ მოხელეთა სინდიკალურუფლებათა დამცველმა ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა მხნედიბრძოლოს კონგრესის მიერ მიღებულ რეზოლუციის განსახორციელებლად. მართავენ კრებებს და თათბირობენ იმაზე, თუ როგორ მოაწყონ ბრძოლა. მათ გადაწყვეტილი აქვთ, ეცადნენ კავშირების შესახებ 1884 წ. გამოცემული კანონი მოქმედებდეს მოხელეებზედაც, რომ მათაც მიენიჭოთ კავშირების შედგენის უფლება. ამ დღესასწაულების შემდეგ, როდესაც განახლდება საკანონმდებლო პალატის სხდომები, ცენტრალური კომიტეტი გამართავს პარიზში დიდ მიტინგს.

**გილიოტინა.** საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ ამას წინად სიკვდილის დასჯის კანონი განიხილა. მემარცხენენი, უმთავრესად სოციალისტები, მედგრად თხოულობდნენ სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმებას. დეპუტატთა პალატის უმრავლესობამ, ანუ ბურჟუათა და კლერიკალთა უმრავლესობამ, ისევ დასტოვა კანონი სიკვდილით დასჯისა. ამით საფრანგეთის ბურჟუაზიამ გული გულის ალაგას დასტოვა. ერთი თვე არც კი გასულა, რაც გაიმარჯვეს პალატაში, რაც სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ ძლიერი სიტყვები გაისმოდა პარლამენტის ტრიბუნიდან, და აი ოთხ კაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს ქალაქ ბეტიუნში. უნდა თავები მოეკვეთათ ძველებურად გილიოტინით აუარებელი ხალხი მიაწყდა იმ საშინელ ალაგს, სადაც უნდა შეესრულებინათ კანონის ბრძანება. მაყურებლებში ბევრი ქალიც აყო. სიცილითა და ხარხარით, ტაშის ცემითა და კისკისით მიეგებნენ, როდესაც პატიმარი ჰაყავდათ გამზადებულ ალაგზე. ჯალათს ავაციებს უმართავდნენ, გაისმოდა ხმები: „ვაშა, დებლერ, ვაშა დებლერო (დებლერი ჯალათის გვარია), შურისძიება მოუსვენრებს! ეხლა კი მოსვენებით იქნებითო“ და სხვა. ქუჩური გაზეთებიც ასეთისავე აღტაცებით ეგებებოდნენ. ასეთი გაზეთები თავიანთ ფურცლებზე ათავსებდნენ ჯალათის სურათებს, გილიოტინას და მოკლულთა თავის სურათებს. ამ გაზეთებში წერილები იყო ამ სათაურით: „სამართლიანობა აღდგენილია“-ო, „არას დროს ისინი ისე მხიარულად არა ყოფილანო“. ასე ხარხარობენ გამარჯვებულნი, ყველა ამას რეაქციონერები და კლერიკალები ჩადიოდნენ! მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ყველას მოსწონდეს ეს ხარხარი. მაგრამ ეხლა ის გაზეთები, რომელნიც სიკვდილით დასჯის მომხრენი გამოდიოდნენ, ცოტა დააფიქრა ამ ფაქტმა. ეხლა ამბობენ, ხალხზე ცუდ გავლენას ახდენს სიკვდილით დასჯა, ველური ინსტიქტები ღვიძებს მასშიო, ბეტიუნის ამბები მთელი ერის სირცხვილიაო. მაგრამ სიკვდილით დასჯის კანონის წინააღმდეგ კი მაინც სდუმან ეს კაციჭამია ვაჟბატონები.

# პასუხი

**„რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“ ავტორს**

(„განათლება“, N 5—6, 1908 წ.)

როდესაც რომელსამე გამოცემაში იბეჭდება მოწინავე სტატია, ან კრიტიკული, ან პუბლიცისტიკური, თუ რედაქცია ავტორის თანახმა არ არის, ქვეით შენიშვნას გაუკეთებს; თუ არ გაუკეთა შენიშვნა, სჩანს, რედაქცია სავსებით ეთანხმება ავტორს. ჩვენი ოპონენტი უკვე გადაიცვალა და, რადგან, ანდაზისა არ იყოს, მიცვალებულზე ან კარგი უნდა სთქვა, ან არაფერი, ჩვენც ამიტომ პირდაპირ „განათლების“ რედაქციას მივმართავთ.

პასუხი ძლიან დაგვიგვიანდა, მაგრამ ამის მიზეზია მხოლოდ „განათლების“ რედაქცია: ჩვენ „განათლების“ მე-5—6 (1908 წ.) ნომრიდან ვუცდიდით მის გამოსვლას და დეკემბერში უარი გვითხრეს, არ დავბეჭდავთო. ამიტომაც ჟურნალისთვის დამზადებული პასუხი ერთი-ორად შევამცირეთ, რადგან გაზეთში იბეჭდება; დავტოვეთ მხოლოდ ნიმუშები „კრიტიკისა“, მაგრამ ეს ნიმუშებიც საკმარისია მის დასახასიათებლად.

საკვირველი ბედი ეწვია ჩვენს „წყაროს“ (II). შარშან (1907 წ.) ცილი დაგვწამეს, არ. ქუთათელაძე ვეშაპს „ქვეწარმავალად“ სთვლისო. რატომ? ღმერთმა უწყის! წელს „განათლების“ 5—6 წიგნებში იმდენი არასაკადრისი სიტყვა გვაკადრეს, რომ, ჭეშმარიტად, ჩვე გვრცხვენია რედაქციის მაგიერ. კვიკვირს მხოლოდ ის, რომ ლანძღვა-გინებამ გამოიარა ჟურნალ „განათლების“ რედაქცია, სადაც სარედაქციო კომისიის წევრებად ითვლებიან—რედაქტორს გარდა ბ-ნნი ალ. მდივანი და პეტ. სურგულაძე. ჩვენის აზრით, რედაქციას იმდენი ელემენტარული დაბრკოლება მაინც კი უნდა გამოეჩინა, რომ ჩვენი პიროვნება არავისთვის არ შეელახვინებინა!

პირველი ბრალდება, ჩვენ წინააღმდეგ წამოყენებული, ეხება მზის სხივებს. ჩვენ გვაქვს გაზაფხულის შესახებ: „მზე თავის სხივს უფრო სწორედ გვიგზავნის; უფრო სწორე სხივს მოაქვს მეტი სითბო, ვიდრე ზამთარში და ამიტომაც გაზაფხულზე თბილა. „განათლების“ რედაქცია ბრძანებს: „განა ეს დასაჯერებელია? მზის სხივი ყოველთვის სწორია, როდესაც უნდა იყოს: დილით, შუადღისას, თუ საღამოთი; რა დროც უნდა ავიღოთ—გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, თუ ზამთარი, ყოველთვის მზე თავის სხივს სწორედ ისვრის („განათლება“, 1908 წ., № 5—6, გვ. 52—53). ერთი. ეს გვიბრძანოს „განათლების“ რედაქციამ: როგორ უხსნიან ბავშს: რა არის აღმოსავლეთი და რატომ ჰქვია ეს სახელი? განა მზე ამოდის? განა ქვეყანა დგას და მზე მას გარშემო უტრიალებს?—არა! მაგრამ ამ ხანში, რომელიც ჩვენ გვაქვს სახეში, სხვაფრივ ახსნა არ შეიძლება. „განათლებამ“ განა ეს არ იცის? იცის, მაგრამ აქ ხომ ცოდნის საქმე არ არის, აქ სულ სხვა მიზანია... რადგან „განათლების“ რედაქციას რუსული უფრო ეხერხება, რუსულად მოვახსენებთ! რუსულად ამბობენ: „Прямое письмо, косое письмо“, ჩვენის აზრით, ვგონებთ, ქართულად იქნება: „სწორი წერა“, „დაქანებული წერა“ თუ ცუდად ვთარგმნით, გაგვისწოროს „განათლების“ რედაქციამ, ჩვენ მადლობელი ვიქნებით. განა თვითონ ანბანი რვეულს გარეშე, დამოუკიდებლად, შეიძლება ან „სწორი“ იყოს, ან—„დაქანებული“? არა! როცა ამას ამბობენ, სახეში აქვთ თვითონ ასოების და რვეულის ერთმანეთთან დამოკიდებულება, ესე იგი, თუ რა კუთხედი დაიცვან წერის დროს კალამს და რვეულს შუა: სწორი თუ დაქანებული. ასე ვგონებთ ჩვენ და, ვფიქრობთ, მკითხველიც დაგვეთანხმება ამაზე.

ეხლა მივუბრუნდეთ ისევ ჩვენს საგანს. დედამიწის ღერძი დაქანებულია დედამიწის ორბიტზე ან ეკლიპტიკზე. ეს დაქანებულობა გამოიხატება 23 ნახევ. გრადუსით. რომ ღერძი ყოფილიყო შვეული, ვერტიკალური, პერპენდიკულარი (რუსულად: „Отвѣсная“), მაშინ დედამიწაზე ერთი დრო იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ არის! იმიტომ რომ ასეთი დაქანებულობაა დედამიწის ღერძს და ორბიტს შუა, ხან ჩრდილოეთის ჰემისფერა (ნახევარი სფერა) არის უფრო მიშვერილი მზისკენ, ხან—სამხრეთის ჰემისფერა. როცა ჩრდილოეთის ჰემისფერა უფროა მიშვერილი მზისკენ, მაშინ მზის სხივი პირდაპირ, ვერტიკალურად ანუ პერპენდიკულარულად ეცემა მას. ამიტომაც ამგვარ სხივისაგან მეტი სითბო ეძლევა ჩრდილოეთის ჰემისფერა. ეს არის მიზეზი, რომ იქ ამ დროს ცხელა ანუ ზაფხულია. როცა ჩრდილოეთის ჰემისფერა მოშორდება მზეს, მაშინ მზის სხივი ალმაცრივ ანუ დაქანებულად ეცემა მას. ამგვარ სხივისაგან, რა თქმა უნდა, ნაკლები სითბო ეძლევა. ამიტომ იქ იმ დროს ცივა ანუ ზამთარია. ეგივე ითქმის სამხრეთის ჰემისფერაზე, როცა იქ არის ზამთარი ანუ ზაფხული. აი, აქედან წარმოსდგა ჩვენი სიტყვა „შვეული“ სხივი ანუ „სწორი“ სხივი, „ალმაცრივი“ სხივი ანუ „დაქანებული“ სხივი. ამას გვიმოწმებს მეცნიერი გეიკი (გაკვეთილი IX, მუხლი 8): „ის ქვეყნები თბილი—ამბობს გეიკი,—სადაც მზის სხივი ვერტიკალურია, ანუ თითქმის ვერტიკალურია; ის ქვეყნებია ცივი, სადაც მზის სხივი დაქანებულია.“ რუსულად მოგეხსენებათ, რადგან რუსული უფრო გეხერხებათ: Тѣ страны должны быть самыми теплыми, въ которыхъ солнечные лучи вертикальны или почти вертикальны и что тѣ страны должны быть самыми холодными въ которыхъ лучи наиболѣе наклонны (გაკვეთილი IX, მუხლი 8)“. ამის შემდეგ ოა შუაშია ახირებული შეკითხვა: „შვეული რაღა ტერმინია?“ მიწის ღერძთან დამოუკიდებლად რომ აგვეღო მზის სხივი, მაშინ გამოვიდოდა „განათლების“ რედაქციისებური მოსაზრება, მაგრამ ეს ხომ სიმართლე აღარ იქნებოდა. „შვეული რაღა ტერმინიაო“, გვეკითხება „განათლება“ სწორედ რომ „შვეული“ უბდა. ფრანგულად ეს სიტყვა არის Verticale და ნიშნავს რუსულად— „Отвѣсная, вертикальная“; ქართულად კი ეს სიტყვა ნიშნავს ნამდვილს „შვეულს“, „შვეულს“ ხმარობენ კალატოზები სახლების შენობისთვის, რომ კედლები არ იყოს გადაზნექილი არც გარეთკენ და არც შიგნითკენ. ეს სახელი საზოგადო ხმარებაშია და თუ „განათლების“ რედაქციას არა სცოდნია, ან არ გაუგონია, ჩვენი რა ბრალია?

**არისტ. ქუთათელაძე.**

(დასასრული იქნება)

**რედაქტორ-გამომცემელი**

**ი. ს. აგლაძე.**


გამოვა 1909 წ. საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

წელიწადი მეხუთე. „ნაკადული“

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ნაკადულის რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზედ, ზუბალაშვილის სახლში N 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში (თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

1909 წლის 1 იანვრიდან 1910 წ. 1-ლ იანვრამდის

მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს

24 წიგნი ჟურ. „ნაკადულის“ მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი ჟურ. „ნაკადულის“ მოზრდილთათვის. 36 სურათი გამოჩენილი მხატვრებისა.

გარდა ამისა მიეცემათ პრემიათ: „რას გვიამბობს ოთახი“,ავენარიუსისა ვინც წლიურ ფასს სრულად არ შემოიტანს პრემია არ მიეცემა.

ფასი წლიურად ხუთი მანეთი. | მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მანეთი.
ნახევარი წლით სამი მანეთი. | მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მანეთი.

სამზღვარ-გარედ წლიურად—7 მანეთი. | ნახევარ წლით. . . . —4 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

რედაქტორი მ. ი. დემურიასი.

გამომცემელი თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

(5—შ.—5)



გალოშები „პროვოდნიკისა“

18 97

პატენტ-მიღებული

საუკეთესო მთელ ქვეყნიერობაზე



პირველი ადგილი უჭირავთ სიმკვიდრით, და ზედმოხმარებულ ფასონის სილამაზით საქონლის ღირსებით.

**უეჭველი თავმდებობა საქონლის სამაგალითო სიმტკიცისა და გამაგრისა ყოველ წყვილზე.**

გალოშები



გალოშები

პროვოდნიკისა

წარმომადგენლები მთელ კავკასიისთვის

მიუნხ და ვეის

1888

ტფილისი და ბაქო.

(50—б.—39)



პროვოდნიკის

ამხანაგობა

რიგაში

1888

სატაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● იყიდება ნაღდად და ცალობით: ●

ლინოლეუმი, აუარებელი, ერთფერიანი და უზორებიანი,

ასბესტის კარტონი,

ასბესტის და ტალკის ნაბივკა

ახალი რამ:

„საუკუნო“ ლინოლეუმი უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.

ლინკრუსტა (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საუცხოვო თვალისთვის და საუკეთესო ეკონომიისთვის.

ცალობით ვაჭრობა დიდ-მიწაზე საუკეთესო კალოშების

„პროვოდნიკი“-სა